

„ენგურჰესის“ ელექტროენერჯიას თითქმის მთლიანად აფხაზეთი მოიხმარს



წინა წელთან შედარებით 2018 წლის თებერვარში ადგილობრივი გენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებული ჰიდროენერჯია 64.3% -ით გაიზარდა. 119.6%-ით გაიზარდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება წინა წლის თებერვართან შედარებით,

რაც ენგურჰესი გვირახის ექსპერტიზის მიზნით იყო გაჩერებული. ენერგობაზრის კვლევის საინვესტიციო კომპანია „გაღთ ენდ თაგარტი“ აქვეყნებს.

ენგურჰესისა და ვარდნილჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯიის 94.8% აფხაზეთის რეგიონმა მოიხმარა.

მნიშვნელოვნადაა გაზრდილი სხვა ჰესების გენერაციაც, რაც გამომწვეული იყო კარგი ჰიდროლოგიური პირობებით და ასევე, დერეგულირებული სადგურების კატეგორიაში ახალი ჰესების-დარიადიჰესითა და და ხერვარაურჰესის დამატებით. ელექტროენერჯიის შიდა მოხმარება თებერვარში წელიწად 4.6%-ით გაიზარდა და 1.1 ტვტ.სთ შეადგინა, რაც დაგეგმიდზე მცირედით, 2.5%-ით ნაკლებია.

მოხმარების ზრდა გამომწვეული იყო სადისტრიბუციო კომპანიების მოხმარების ზრდით: „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოხმარება წელიწად 16.3%-ით გაიზარდა, რაც ახალი აბონენტების დამატებას უკავშირდება; გაიზარდა „თელასის“ მოხმარებაც- წელიწად 2.3%-ით. ელექტროენერჯიის ექსპორტი 2018 წლის თებერვარში არ

განხორციელებულა, ხოლო ელექტროენერჯიის ტრანზიტმა აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით 13.4 მლნ. კვტ.სთ შეადგინა.

ელექტროენერჯიის იმპორტმა 167,9 მილიონი კვტ.სთ შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი თებერვარში 52.2%-ით გაიზარდა კვტ.სთ-ზე 5.3 აშშ ცენტი შეადგინა. 2017 წლის თებერვარში ელექტროენერჯიის იმპორტი სუბსიდირებულ ფასად განხორციელდა, სადხინოს ელექტროგადამცემი ხაზით. იმპორტის საშუალო ფასის ზრდის მიუხედავად, ელექტროენერჯიის საბაღანსო ფასი 2018 წლის თებერვარში წდიურად მხოლოდ 3.5%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.3 აშშ ცენტი შეადგინა. ასეთი მცირედი ზრდა იმპორტის მოცულობის შემცირებით აიხსნება.